სამშვიდობო ხელშეკრულებების ენობრივ-პრაგმატიკული თავისებურებები

(ისრაელ-პალესტინის, ისრაელ-ეგვიპტისა და ყოფილი იუგოსლავიის სახელმწიფოთა სამშვიდობო პროცესების მაგალითზე)

თაია წიკლაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თაია წიკლაური

07.07.2020

აბსტრაქტი

სამშვიდობო ხელშეკრულებების კვლევა საკმაოდ მიმზიდველი მიმართულებაა, თუმცა არა ლინგვისტიკის, არამედ სამართლისა და პოლიტიკური დისკურსის მკვლევართათვის. ჩვენ მივიჩნიეთ, რომ აღნიშნული საკითხის ინტერდისციპლინარული კვლევა, რომელიც მოიცავს როგორც პოლიტიკური დისკურსისა და თეორიების, ისე ლინგვისტური ანალიზის ელემენტებს, საინტერესო და, მეტადრე, ინოვაციურიც იქნებოდა ქართული კვლევითი ბაზებისათვის, რადგან არათუ კომბინირებული, არამედ წმინდად სამშვიდობო ხელშეკრულებების პოლიტიკური, იურიდიული ან ლინგვისტური ანალიზის მაგალითს ვერ მივაკვლიეთ. აღნიშნულ ნაშრომში გაანალიზებულია ორი კონკრეტული სამშვიდობო პროცესი - ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთ ბალკანეთის და მათი ამსახველი ხელშეკრულებების ენობრივ-პრაგმატიკული ანალიზის საშუალებით გამოტანილია დასკვნები მხარეთა პოზიციების გამომჟღავნებისა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობის თუ შეფერხების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: სამშვიდობო ხელშეკრულებები, ენობრივი თავისებურებები, პრაგმატიკული მარკერები, დისკურსის ანალიზი, დარწმუნების თეორია, პრევენციული დიპლომატია.